სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 მარტი, 2026 წ.

ბრძანება N 01-02/54

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის
შოთა რუსთაველის და ტბელ აბუსერიძის სახელობის ბსუ-ს სტიპენდიების
მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანებისადა ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არომშიძის 2026 წლის ანაზღაურებადი შვებულების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 05 მარტის №01-06/56 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **გამოცხადდეს კონკურსი** 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში (5 თვე) სტუდენტების მიერ ბსუ-ს სტიპენდიების მოსაპოვებლად (თითოეული სახის სტიპენდია დაენიშნება ბსუ-ს ფაკულტეტიდან 1 სტუდენტს):
   ა) შოთა რუსთაველის სტიპენდია (თვეში **500 ლარი**) - ბსუ-ს საბაკალავრო, ,,მედიცინის“/სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის;
   ბ) ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდიის (თვეში **500 ლარი**) - ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის.
2. შოთა რუსთაველის სტიპენდია და ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია შეიძლება დაენიშნოს ბსუ-ს სტუდენტს, რომელიც **აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:**

   ა) არის **აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი** (გარდა პირველი სემესტრის და დამატებითი სასწავლო სემესტრის (ვადაგაგრძელებულ) სტუდენტისა);
   ბ) **სტუდენტის სასწავლო ბარათის მიხედვით** საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ **სასწავლო კურსებში** (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში), მიღებული ქულები, ,,საშუალო შეწონილი'' ფორმულით აქვს **91 ან მეტი;**
   გ) გამოირჩევა სამეცნიერო აქტივობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები).
3. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტებმა **2026 წლის 20 მარტიდან 27 მარტის 17:00 საათის ჩათვლით,** ბსუ-ს სტუდენტური პორტალის საშუალებით (,,წერილი კანცელარიას", რექტორის სახელზე) **უნდა წარმოადგინონ:**
   ა) <u>სტუდენტის განცხადება</u> კონკურსში მონაწილეობის შესახებ (შედგენილი წინამდებარე ბრძანების N1 **დანართის** შესაბამისად);
   ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი);

დ) არანაკლებ ერთი რეკომენდაცია ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირისაგან (რომელიც კარგად იცნობს სტუდენტის აკადემიურ აქტივობას);

ე) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის/პუბლიკაციის დედანი ან დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ.) მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერტიფიკატის და სხვ. ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტის დედანი მოთხოვნისთავე უნდა წარედგინოს საკონკურსო კომისიას).

4. საკონკურსო კომისიის მიერ **საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება** (კონკურსანტი არ შეფასდება და მოიხსნება კონკურსიდან) **შემდეგ შემთხვევებში:**

ა) თუკი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია **არასრულყოფილია ან წარმოდგენილია ვადის დარღვევით;**

ბ) თუკი კონკურსანტის წარმოდგენილი დოკუმენტი **არ არის** შესაბამისი ფორმის დაცვით შედგენილი **(ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.)** ან არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც დასტურდება ბსუ-ში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით;

გ) კონკურსანტს **შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი;**

დ) კონკურსანტი აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტია (გარდა იმ სტუდენტისა, რომელსაც ბსუ-ს გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის გამო, დადგენილ ვადაში ასათვისებელი აქვს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები) ან შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამების მოთხოვნები (მიენიჭა შესაბამისი აკადემიური ხარისხი).

ე) დამატებითი სასწავლო სემესტრის (ვადაგაგრძელებულ) სტუდენტს;

ვ) თუკი შესაბამისი პერიოდისათვის უკვე დანიშნული აქვს ბსუ-ს სამართლებრივი აქტით რომელიმე სახის სტიპენდია.

5. **სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსი ჩატარდეს** (გამარჯვებული გამოვლინდეს) **2026 წლის 30 მარტიდან 01 აპრილის ჩათვლით.**

6. სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს **არაუგვიანეს 2026 წლის 03 აპრილისა.**

7. წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს სტუდენტების ინფორმირება განხორციელდეს ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.

8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები'').

9. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, რექტორის აპარატს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორის მოადგილე,
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**

,,2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს შოთა რუსთაველის და ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ "
ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 17 მარტის N01-02/54 ბრძანების
დანართი N1

ბსუ-ს სტუდენტის საკონკურსო განაცხადი

(_____ სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელ

კონკურსში მონაწილეობის შესახებ)

1.	ბსუ-ს სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
2.	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
3.	ფაკულტეტი	
4.	სწავლების საფეხური	
5.	საგანმანათლებლო პროგრამა	
6.	მიმდინარე სასწავლო წელი (კურსი)	
7.	რეგისტრაციის მისამართი	
8.	ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)	
9.	საკონტაქტო ტელეფონი	
10.	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა	
11.	სხვა ინფორმაცია კონკურსანტის შეხედულებით	

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა:

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ღონისძიებაზე კონკურსანტის აქტივობა (მოხსენების სათაური და სხვა)	ღონისძიების ჩატარების ადგილი
1				
2				

პუბლიკაციების რაოდენობა: _____, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში _____, _____ (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).

პუბლიკაციების ჩამონათვალი:

№	პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა და გამოცემის წელი	პუბლიკაციის სახე (სტატია და სხვა)	თანაავტორი/ხელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
1				
2				

დამატებითი ინფორმაცია (კონკურსანტის შეხედულებით):_____

_____

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ნამდვილია და პასუხისმგებელი ვარ მათ სისწორეზე, ამასთანავე **თანხმობას ვაცხადებ შევასრულო სტიპენდიის დანიშვნისა და მიღების წესის მოთხოვნები.**

1.	**პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე განმცხადებლის (შემდეგში - მონაცემთა სუბიექტი) წერილობითი თანხმობა**	
	კონკურსანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს თანხმობას,** ამ განაცხადის განხილვის მიზნებისათვის, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ამ განაცხადში მითითებული სხვა ინფორმაცია (საკონკურსო პირობების გათვალისწინებით), **ასევე აცხადებს თანხმობას** განთავსდეს/გასაჯაროვდეს ბსუ-ს ვებგვერდზე/სოციალურ ქსელში ან/და სხვა საინფორმაციო რესურსებზე, კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კონკურსანტის თაობაზე ინფორმაცია, **ასევე აცხადებს თანხმობას,** ბსუ-ს მიერ გადამოწმდეს ბსუ-ს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი/მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე/ნამდვილობა; კონკურსანტი (მონაცემთა სუბიექტი) **ადასტურებს (აცხადებს),** რომ ინფორმირებულია **მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება ამ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის განხილვა-დამუშავების, დაფინანსების მიღების (კონკურსში გამარჯვების) შემთხვევაში შემდგომი სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში, მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით. კონკურსანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით. **ვადასტურებ ხელმოწერით:** ----------	
2.	გთხოვთ, განიხილოთ ჩემი საკონკურსო განცხადი და წარმოდგენილი დოკუმენტაცია_____ სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში.	
3.	განცხადების წარმოდგენის თარიღი	----------,----------, **2026 წ.**
4.	სახელი, გვარი და ხელმოწერა	_____